

შეჯიბრების ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის ეკონომიურ დარგში.

ვ. ი. ლენინი

თეთრწყაროელთა პასუხად

მივცეთ დედასამშობლოს მეტი კვების პროდუქტები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 14 (13408) | სამშაბათი, 18 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი,

კვლავ ადასტურებენ საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის ერთგულებას იმ მიზნებისა და პრინციპებისადმი, რომლებიც აღბეჭდილია ხელშეკრულებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და შეთანხმებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც დაიდო 1946 წლის 27 ოქტომბერს.

გამოხატავენ ორივე ქვეყნის ხალხების გულწრფილ სურვილს კვლავაც გააღრმავონ და განამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტრადიციული, ურღვევი მეგობრობა, ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა და ძმური ურთიერთდახმარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე,

მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობის ასეთი განვითარება შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის საარსებო ინტერესებს, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას და ხალხთა უშიშროებას აზიასა და მთელ მსოფლიოში.

მხედველობაში იღებენ, რომ ვიდა გაუდის 1946 წლის 27 ოქტომბერს ხელშეკრულებას მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და შეთანხმებას ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომლებმაც ისტორიული როლი შეასრულეს ორივე ქვეყანას შორის მარადიული მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განსამტკიცებლად განვითარებაში, და რომ საჭიროა მათი განახლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების მდიდარი გამოცდილებისა და იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რომლებიც აზიაში და მთელ მსოფლიოში მოხდა,

გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და ამ მიზნით თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი,

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა — იუმჟაგინ ცედენბალი.

რომლებიც სათანადო ფორმითა და წესით შედგენილ რწმუნებულებათა გაცვლის შემდეგ შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ ტრადიციულ მეგობრობას, განავითარებენ ორივე ქვეყნის ყოველმხრივ თანამშრომლობასა და ძმურ ურთიერთდახმარებას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც განავითარებენ და გააღრმავებენ ორივე ქვეყნის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას მეგობრული ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპთა შესაბამისად, როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ხაზით.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები განუხრელად განავითარებენ ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობას განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების გზით.

მუხლი 4

ამ ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესასრულებლად დაიდება ცალკეული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი მთავრობებს შორის, აგრეთვე ორივე მხარის შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ერთმანეთს დაეხმარებიან ორივე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძალიერების განუხრელი განმტკიცების ამოცანათა შესაბამისად. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციას ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე, რომლებიც შეეხება ორივე ქვეყნის ინტერესებს, ან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს, და, იმოქმედებენ რა კარგი ტრადიციის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით, ერთად განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, მათ შორის სამხედრო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ორივე ქვეყნის უშიშროება, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები განაგრძობენ მეცადინეობას საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად, საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად და ყველა ფორმისა და გამოვლინების კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აღასტურებენ, რომ მზად არიან გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით მიიღონ მონაწილეობა ყველა საერთაშორისო ღონისძიებაში, რომლის მიზანი იქნება ამ მაღალი მიზნების განხორციელება.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები თანმიმდევრულად განახორციელებენ აზიის სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, აგრეთვე ერთად იბრძოლებენ, რათა დედამიწის ამ რაიონში თავიდან აცილებულ და აღმოფხვრილ იქნას იმპერიალისტური აგრესიის საფრთხე.

მუხლი 8

ეს ხელშეკრულება არ შეეხება მხარეების იმ ვალდებულებებს, რომლებიც აკისრეს მოქმედი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით.

მუხლი 9

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც ყოველივ დროს მოხდება მოსკოვში.

მუხლი 10

ეს ხელშეკრულება იდება 20 წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება შემდეგი 10 წლისათვის, თუ ხელშეკრულების დამდები არც ერთი მაღალი მხარე შესაბამისი ვადის დამთავრებამდე 12 თვით ადრე არ განაცხადებს, რომ სურს ამ ხელშეკრულების დენონსირება.

შესრულდა ულან-ბატორში 1966 წლის 15 იანვარს ორ ეგზემპლარად, თვითეული მათგანი შედგენილია რუსულ და მონღოლურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებული
ლ. ბრეჟნევი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის რწმუნებული
ი. ცედენბალი.

დარბაზობა ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 16 იანვარი. (*საკადესი სპეც. კორ.*). დღეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დიდი დარბაზობა გამართეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც მონღოლეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება.

დარბაზობას, რომელიც მთავრობის რეზიდენციაში „ბა-ტენგერში“ გაიმართა, დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელმა მოდღვაწეებმა, ულან-ბატორის ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ და რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

დარბაზობის დროს, რომელმაც ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

გულთგული გაცილება

ულან-ბატორი, 17 იანვარი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ა. შარონოვი იუწყება:

დღეს ულან-ბატორიდან საქმიანობა გაფრინდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთული ულან-ბატორის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გააცილეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ულან-ბატორის ოლქკომის პირველი მდივანი ბ. ბაიარსაი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ულან-ბატორის ოლქკომის პირველი მდივანი ბ. ბაიარსა

პრინციპული სჯა-გაჯანსი

ლარბაზში მყოფი თვითეული დელეგატი კარგად გრძნობდა, რომ მომავლის ამოცანები, რომლებსაც რაიონული პარტიული კონფერენცია დასახავს, მათი და პირველ რიგში თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო პროგრამა იქნება. ამიტომ კონფერენციაზე მთელი საუბარი იქითკენ წარიმართა, რომ სწორად, საქმიანად შეეფასებინათ სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში მოპოვებული წარმატებანი, ჭეშმარიტად პარტიული პრინციპულობით ემხილებინათ არსებული ნაკლოვანებანი, ზუსტად დაედგინათ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.

რაიონული პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც მისი პირველი მდივანი ზ. აბაზაძე გამოვიდა, აგრეთვე კამათის მონაწილეთა სიტყვებში აშკარად ჩანდა ის სასარგებლო მუშაობა, რომელიც პარტიის რაიკომმა, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე მტკიცედ დაყრდნობით, საანგარიშო პერიოდში გასწია.

— ამ მუშაობიდან, — ამბობდნენ ისინი, — მთავარი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის ნაკადის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა. ეს გადაწყვეტილებანი ხომ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის ყოველდღიური მოღვაწეობის ნამდვილ სამოქმედო პროგრამად იქცა!

აი ზოგიერთი შედეგიც: სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით გაანაღდეს, ვიდრე 9 თვიანობით შესრულდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები.

საანგარიშო პერიოდში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ხაშურის სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების კოლექტივებმა. ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ამ დეპოების კოლექტივებს საშუალება მისცა მიეღწიათ მატარებელთა მოძრაობის უსაშიშროებისათვის, ასევე სიმაღლეზე აეყვანათ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა.

აღსანიშნავია, რომ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ხაშურის რკინიგზის კვანძის ექვს საწარმოს ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს და მოაუთვნეს პირველი ადგილი.

კვანძის საწარმოებში დიდი ყურადღება ექცევა გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე შეტანილი 331 რაციონალიზატორული წინადადებიდან დაინერგა 272, რამაც საწარმოებს 52.589 მანეთი ეკონომია მისცა. შრომაში კარგ შედეგებს მიაღწიეს კომუნისტებმა: ელმავლის მემანქანეებმა გ. ამაშუკელმა, თ. გოსტიევმა, ა. წივწივაძემ და სხვებმა.

ყურადღების ღირსია სოფლის კომუნისტთა სასახელო საქმეები. კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ ბრიგადირმა ა. გაჭელაშვილმა 25 ჰექტარი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე მარცვლად 42 ცენტნერი ხმინდი მიიღო, ბ. ბარათაშვილმა კი — 30 ჰექტარი ბოსტნეულის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 151 ცენტნერი მოსავალი (გეგმით გათვალისწინებული 137 ცენტნერის ნაცვლად). რაიონს ბევრი ჰყავს ისეთი სამაგალითო კომუნისტებიც, რომლებმაც ოთხასზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს. ისინი დაუღალავად შრომობდნენ ბაღებში, ზვრებსა და მინდვრებში.

სოფლის კომუნისტთა უშუალო მონაწილეობით გაშენდა 301 ჰექტარი ახალი ვენახები და 204 ჰექტარი ხეხილის ბაღები. ახლა ხაშურის რაიონში 2.343 ჰექტარი ხეხილის ბაღები და 1.621 ჰექტარი ვენახებია.

რაიონში ფართოდ არის გაშლილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამას წინათ საეკსპლოატაციოდ გადაეცა 104-ადგილიანი სასტუმრო, შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები რკინიგზელთა უბანში. მალე მდ. ხურამულას ახალი ხიდი დაამშვენებს. იქვე დამთავრდება ოთხსართულიანი საცხოვრებელი ნინოსა და სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. სულ უფრო მაღლა მიიწევს და მხრებს ზლის ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის, სურამის მინის ტარის ქარხნის კორპუსები.

რაიკომის საანგარიშო მოხსენებასა და დელეგატების — სავაგონო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივნის შ. გურგენიძის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თ. ღონღაძის, მშრომელთა დეპუტატების რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. გოგალაძის, კომკავშირის რაიკომის მდივნის ნ. ქურდაძის გამოსვლებში ყურადღება გამახვილებული იყო ხაწარმოთა პროდუქციის ხარისხზე. მათ აღნიშნეს, რომ ზოგიერთ საწარმოში (საკონსერვო ქარხანა, ხაშურ მასალათა კომბინატი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ხორცკომბინატი და სხვ.) ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საწარმოს ისეთ ძირითად მაჩვენებელს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხი.

დელეგატებმა გააკრიტიკეს საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. ქარხანამ თავი ვერ დაალწია რეკლამაციებს. აქ არ იცავენ საჭირო ასორტიმენტს, რაც მომხმარებელთა ხამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, — ამბობდნენ ორატორები, რომ საწარმოში მოუწესრიგებელია შრომა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, დაბალია შრომის დისციპლინა, ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის დანერგვას.

შარშან ჩამორჩა რაიონის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი — მეტყვარლეობა. შაქრის ჭარხლის დამზადების წლიური გეგმა 76.1 პროცენტით შესრულდა. რაიონის ამ საშუალო ციფრზე უფრო დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ხურამის, ფლევის, „ზემო ქართლის“, ოსიაურის, წრომის კოლმეურნეობებს, ქვიშხეთისა და ალის საბჭოთა მეურნეობებს.

მართალია, კონფერენციის მონაწილეებს თავიანთ გამოსვლებში მეჭარხლეობაში არსებული ასეთი მდგომარეობა არ გამორჩენიათ, მაგრამ ზოგიერთმა ორატორმა ვერ ახსნა ჩამორჩენის მიზეზები და ვერ დასახა გამოსწორების გზები.

დელეგატებმა ილაპარაკეს რაიონის ხალამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ავ-კარგზე. მათ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს რაიონში დანაშაულებანი შემცირდა, საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებებიც ხორციელდება, მაგრამ ორატორები ამასთანავე მიუთითებდნენ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზეც, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ამ ორგანოების მუშაობაში. არცთუ იშვიათია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, აქა-იქ ჯერ კიდევ თავიხუფლად პარაშუბენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევნი, სასამართლო ზოგჯერ კანონის მთელი სიმკაცრით არა სჯის დამნაშავეებს.

კონფერენციის მონაწილეებმა ახლად არჩეული პარტიის რაიკომისაგან მოითხოვეს უფრო გაანალიზოს მასებში ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, ადამიანთა მთელი შემოქმედებითი ენერგია წარმართოს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. პ. როდიონოვი.

• • •

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პლენუმი, რომელმაც ხელმძღვანელობა გაუწია ხაშურის რაიკომის პირველი მდივნად აირჩია ზ. აბაზაძე, მეორე მდივნად — პ. ბოჭორიშვილი, მდივნად — ბ. ბუაკიძე.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რუსთაველის მეტალურგების წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა მარტენის № 1 ღუმელის მეფოლადემ გიორგი ტაბატაძემ. ყოველ ცვლაში იგი სისტემატურად იღებს საუკეთესო ხარისხის ზეგეგმიან ფოლადს.

ქართულ ბროლს დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ მან უკვე ფართოდ გაითქვა სახელი და ბევრი თაყვანისმცემელი მოიპოვა. ეს ნაკეთები უნდა მიეწეროს იმ მხატვრებს, გრავიორებისა და უნარიანი ოსტატების მარჯვენას, რომლებიც ქუთაისის ბროლ-კერამიკის საწარმოში მუშაობენ.

სურათებზე: ზემოთ — მეფოლადე გ. ტაბატაძე, ქვემოთ — ქართული ბროლის საუკეთესო ოსტატი, გრავიორი ს. ჯოჯუა.

ფოტო პ. ლუცენკოსი, გ. კიკვიძისა და ს. თევზაძისა.
(საქმესის ფოტოკორონიკა).

ამომრჩევლებთან

მუშაობის ორგანიზაციორები

დეპუტატი და ცხოვრება

როცა წულუკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის შენობაში შედიხართ, შეუძლებელია დერეფანში თქვენი ყურადღება არ მიიპყროს წარწერამ — დეპუტატის ოთახი.

აქ. ამ ნათელ დარბაზში ყოველდღიურად მორიგეობენ დეპუტატები, და ამომრჩევლებს საშუალება აქვთ ყოველთვის შეხვედნენ თავიანთ რჩეულებს.

აქვე, დიაგრამებში, პლაკატებზე და ფოტოსტენდებზე, ყველასათვის გასაგებად არის ჩაწერილი რაიონის მშრომელთა მიერ მოპოვებული მიღწევები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მიღწევები კი თითებზე ჩამოსათვლელი როდია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა რაიონის მშრომელებმა მარშან გადაჭარბებით შეასრულეს სარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის, სახელმწიფოთასთვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. სამრეწველო საწარმოებმა ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

ხალხის ამ დიდი კეთილშობილური შრომის ავანგარდში მიდიან ხალხისაგე რჩეულები, დეპუტატები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საბმომაოს და ყოველდღიურად იღვწიან იმისათვის, რომ საქმით განასორციელონ ამომრჩეველთა განაწესი.

შეიძლება მოვიყვანოთ დეპუტატთა ინიციატივის შესანიშნავი მაგალითები. სოფელ გუბის კოლმეურნეობამ შარშან 248 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს კი 56 ტონით აღემატება დავალებას. ამ კოლმეურნეობის წევრებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაიონული საბჭოს დეპუტატი კ. კორძაძე) ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჭიათურელ მაღაროელთა თაოსნობას და ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად რაიონის სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ.

აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხმა ფაბრიკამ, რომლის დირექტორია რაიონული საბჭოს დეპუტატი ვ. ბერაძე, შვიდწლედის დავალება ნახევარი წლით ადრე გადაალაგდა, ხოლო 1965 წლისა — ორნახევარი თვით ადრე. დეპუტატი ვ. ბერაძე ბევრი საგულისხმო რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

დეპუტატების აქტივობის ამაღლება, მათი ზრუნვა ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის ყველაზე მკაფიოდ ჩანს რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობაში. ეს კომისიები, რომელთა საქმიანობაში დეპუტატებთან ერთად ორასამდე აქტივისტი მონაწილეობს, ხალხთან, ამომრჩეველებთან მუშაობის ნამდვილ ორგანიზატორებად გადაიქცნენ.

კომისიამ თანმიმდევრულად შეისწავლა და თავის სხდომებზე განიხილა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაზრდის მდგომარეობის, ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის შესრულების, ასიგნებული სახსრების ყაირათიანად ხარჯვის, ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმების შესრულების შედეგებისა და საბიუჯეტო საფინანსო დისციპლინის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საგულისხმოა, რომ კომისიის მიერ შესწავლილი ყველა საკითხი რაიონული საბჭოს სესიის ან აღმასკომის მსჯელობის საგანი გახდა.

სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას მხედველობიდან როდი გამორჩა ის ფაქტი, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ერთობ თავმჯინებებული იყო პირუტყვის ხელოვნური დათესვლის პუნქტების საქმიანობა.

დეპუტატებმა და აქტივისტებმა სპეციალისტებთან ერთად შეამოწმეს საქმის მდგომარეობა. გამორკვა, რომ ხელოვნური დათესვლის თორმეტ პუნქტში ნაკარაუდევი 1.620 ძროხის ნაცვლად მთელი წლის მანძილზე დაგრილებული იყო მხოლოდ 172 ძროხა. კომისიამ ისიც გამოავლინა, რომ პუნქტები ბევრგან უკარგის შენობებში იყო მოთავსებული, ხოლო ახლის მშენებლობა და რემონტი შეუწყნარებლად ჭიანურდებოდა.

ამავე კომისიამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საადრიცხვო-სანაგარიშო მონაცემების სისწორე შეამოწმა და ამ საქმეში დაუდევრობისა და თვალისახვევის ფაქტებიც კი გამოავლინა.

აღნიშნული საკითხები მალე რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა, შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო, და საქმეს სულ მოკლე ხანში დაეტყო გაუჯობესება.

ადამიანურ ურთიერთობათა დაცვის კომისიამ ბევრი მომწოფებული საკითხი შეისწავლა და გაიტანა აღმასკომის სხდომაზე.

ამომრჩევლებმა კომისიის წევრ დეპუტატებს შეახსენეს, რომ დაუშვებლად ჩითიურდებოდა 240-სწოლიანი რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა.

კომისიამ ყურადღება ამომრჩეველთა სიგნალი, და არა მარტო ახალი საავადმყოფოს მშენებლობით დაინტერესდა, არამედ რაიონის უკლებლივ ყველა სამკურნალო დაწესებულების მშენებლობისა და რემონტის მიმდინარეობაც შეამოწმა. შემდეგ ეს საკითხი აღმასკომმა განიხილა.

მალე საქმე ადგილიდან დაიძრა. მშენებლებმა ტემპს უმატეს, უკვე დაამთავრეს რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების ორსართულიანი შენობის, აგრეთვე სამეურნეო და კვების კორპუსების აგება, დაიწყეს მთავარი კორპუსის მშენებლობა. ბაგშვთა პოლიკლინიკის მშენებლობა კი დროულად დაამთავრეს და იგი ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

საბალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისია სისტემატურად განიხილავს სკოლებში სწავლა-აღზრდის მდგომარეობას.

წულუკიძის რაიონმა წარმატებით შეასრულა საგზაო მშენებლობის გასული წლის გეგმა. ბევრი სოფელი დაუკავშირა რაიონულ ცენტრს მოასფალტებული და ლამაზად მოწყობილი გზებით.

ამ საქმეში ჩაქსოვილია დეპუტატების, საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრები. კომისიამ შარშან ხუთჯერ განიხილა გზების მშენებლობისა და რემონტის საკითხი, ამასთან ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ ამ საქმეში ჩაება მოსახლეობის ფართო ფენები.

ქ. წულუკიძის ენგელსის ქუჩა წლობით კეთილმოუწყობელი იყო. ამომრჩევლებმა რაიონული საბჭოს დეპუტატს ჯ. ჩხენკელს მიმართეს. დეპუტატი პირადად წაუდგა საქმეს სათავეში, მოსახლეობაც გაიყოლია, და მოკლე ხანში ქუჩა კეთილმოწყობილი გახდა. დეპუტატების — კონტაუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. ბალაგაძისა და ნახანულევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ე. ეფაკვარაძის ინიციატივით წესრიგზე მოიყვანეს სასოფლო გზები, ხიდ-ბოგირები, წყალსაწრეტი არხები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიამ აქტივისტების ფართო მონაწილეობით შეამოწმა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებში ვაჭრობის წესების დაცვის ღონისძიებათა თაობაზე რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ აღმასკომის წინა გადაწყვეტილების შემდეგ არსებითი გარდატეხა არ მომხდარა. ამიტომაც მუდმივმა კომისიამ საჭიროდ ჩათვალა საკითხის კვლავ განხილვა აღმასკომის სხდომაზე. ასეც მოხდა. აღმასკომმა იმსჯელა აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობაზე და სათანადო ღონისძიებებიც განახორციელა რაიონის მშრომელთა საჯაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა ამ ბოლო დროს გადაჭრით გააძლიერა დეპუტატებთან და მუდმივ კომისიებთან მუშაობა. ხელიგნებე მოისმენენ და განიხილეს სოფლის მეურნეობის, სამეუნეტო, განათლებისა და კულტურის, საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიების ანგარიშები.

და მაინც, ამის მიუხედავად, მუდმივ კომისიები ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდებიან ცხოვრებით ნაკანონაზე მოძწოფებულ საკითხებს. დასანანია, რომ სოფლის მეურნეობის კომისიას რატომღაც მხედველობიდან გამორჩა ჩაის პლანტაციების და სხვა მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-და მუშავების საკითხები. ასევე სასალხო განათლებისა და კულტურის კომისიას არ განუხილავს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები. ამასთან ერთად ვაჭრობის მუდმივი კომისიისა, არც ერთ მათგანს დღემდე არ მოუწყვია რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ამომრჩევლთა განაწესის განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლა ყოველი დეპუტატის, მუდმივი კომისიის მთავარი საზრუნავია.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წარმოების დირექტორის ტრიბუნა

კერამიკოსთა საზრუნავი

წარმოების ეფექტურობის ნიშნები

უკვე დიდი ხანია, რაც თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი, რომელიც ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს, რენტაბელურად მუშაობს, წლიურ ნორმაზე ზრდის მოგებას, მუშაობს რიტმულად, შვიდწლედის გეგმის გადაჭარბებით 1965 წლის ბოლოს სახელმწიფოს მივიყვნა 6 მილიონ 372 ათასი მანეთის პროდუქცია. მაგრამ ეს მაჩვენებლები სრულებითაც არ გვაძლევს გულდამშვიდების უფლებას.

ამჟამად კერამიკული კომბინატის კოლექტივის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ჩვენი ნაწარმისა და, კერძოდ, მოსაპირკეთებელი ფილების ხარისხის შემდგომი ამაღლება, მსოფლიოს სტანდარტების დონემდე აყვანა. საამისოდ შარშან ბევრი რამ გავაკეთეთ. მაგალითად, ხარკოველ კერამიკოსთა მაგალითისამებრ ფილების შრობის კონვეიერული მეთოდის ნაცვლად დაეფრგეთ რადიაციული მეთოდი, რამაც უზრუნველყო ფილების უფრო სწრაფი შრობა, შეამცირა წუნი და საბოლოო ანგარიშში მეტი მაღალხარისხოვანი ნაწარმი მივიღეთ.

აი რამდენიმე მონაცემი, რომელიც ცხადად ადასტურებს ამ საამლის დიდ უპირატესობას. შრობის პროცესი თითქმის მთლიანად მექანიზებულია და გამორიცხავს ხელით შრომას. წინათ თუ შრომას სჭირდებოდა 8 საათი, ახლა ეს ოპერაცია 8 წუთში მთავრდება, სხვა საშუშაოზე გამოსაყენებლად ამ ოპერაციიდან გათავისუფლდა 8 კაცი. მკვეთრად იკლო ე. წ. მექანიკურმა წუნმა. შემცირდა ფილის ჩამომტვრევის შემთხვევები. მიღებული კარგი შედეგით წათამამებულნი შევეფიქეთ მეორე რადიაციული საშრობის მონტაჟს.

მაგრამ ზოგ ეთარებაში, მაგალითად ისეთში, როგორშიც თბილისის კერამიკულ კომბინატს უხდება შუშობა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება მარტო საწარმოს კოლექტივზე როდია დამოკიდებული. რაგინდ სრულყოფილი ტექნოლოგიაც ჰქონდეთ, რაგინდ ზუსტადაც იცავდნენ მას, სათანადო შედეგს მაინც ვერ მიაღწევენ, თუ არ ექნებათ სათანადო კონდიციისა და ქიმიური შემადგენლობის ხედლეული. ჩვენთვის, კერამიკოსებისათვის, სწორედ ეს საკითხია ყველაზე მტკივნეული. თიხა, რომლითაც კეთდება ცეცხლგამძლე ფაიფური და საშმენებლო კერამიკული ნაწარმი, მოგვდის დონეცკის ოლქის ვესელოვსკის კარიერიდან. ტექნიკური პირობების მიხედვით მოსაპირკეთებელი ფილებისათვის უნდა მოგვდიოდეს პირველი ხარისხის თიხა, ხოლო სინამდვილეში წლიური ფონდის თითქმის ნახევარს გვიგზავნიან მეორე ხარისხისას, რომლისგანაც ჩვეულებრივად ამზადებენ არა მოსაპირკეთებელ, არამედ მეტლახის ფილებს.

ეს მდგომარეობა უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება. ეთხოვეთ სამმენებლო კერამიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელობას გამოეგზავნა სპეციალური ბრიგადა და მოეცა რჩევა, თუ რა საშუალებებით შეიძლებოდა მეორე ხარისხის ნედლეულისგან პირველი ხარისხის ფილების დამზადება, მაგრამ იქიდან მტკიცე უარი მოვედა, ეს შეუძლებელიო. საშასადამე, ერთადერთი გამოსავალი ყოფილა კონდიციური თიხის მაღება, მაგრამ ამას ვერ მიეღწიეთ.

წინათ, 1963 წელს, როცა კონდიციური თიხა მოგვდიოდა, გამოშეპული ფილების ნახევარზე მეტი პირველი ხარისხისა იყო. 1964-1965 წლებში კი, რადგან არსრულფასოვან ხედლეულს გვაწვდიან, ეს მაჩვენებელი 31 პროცენტამდე შემცირდა. ჩვენს საწარმოს საგრძნობი ზარალი მოსდის ამის გამო, რომ დონეცკელები მეორეხარისხოვანი თიხით გვამარაგებენ. ამის შედეგად საწარმოში დაახლოებით 10 პროცენტით მატულობს წუნი ფულად გამოხატულებით. ეს წლიურად 70 ათას მანეთ ზარალს უდრის.

აი ის ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც ვგულისხმობ ადრე ჩვენი ნაწარმის ხარისხზე. ახლა ეს ფაქტორი ნელ-ნელა ეცვეთება. ეს ეხება ფაიფურ, ფაიანსურ, ბაზალტურ, ბეტონ-ბეტონ-ბეტონ-

საერთაშორისო ცხოვრება

მოსკოვი ეთხოვება

ს. პ. კოროლიოვს

17 იანვარს ათასობით მოსკოველი მიეფარა „ყავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, რათა გამოთხოვებოდა გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, კომუნისტს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს სერგი პავლეს-ძე კოროლიოვს.

პალმებითა და ყვავილებით შემკულ დარცხლბეკზე დგას კუბო. ჰალებზე ჩამოშვებულია შავი კრეპი. ავარცხლბეკი ყვავილებით არის შემკული. მათ შორის არის გვირგვინები სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან. ერთ-ერთ გვირგვინს ლენინზე წარწერილია: „გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ლენინური პრემიის ლაურეატს აკადემიკოს სერგი პავლეს-ძე კოროლიოვს“.

საპატიო ყარაულში დგებიან დაკრძალვის მომწყობი სახელმწიფო კომისიის წევრები ლ. ვ. სმირნოვი, მ. ვ. კელდიში, ნ. გ. ეგორიჩევი, ს. ა. ოფანასიევი, ს. სმირტიუკოვი.

კუბოსთან დგანან ს. პ. კოროლიოვის ნაბაშრომლები და თანამებრძოლნი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები. საპატიო ყარაულში დგანან კოსმონავტები ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი, ა. გ. ნიკოლაევი, პ. რ. პოპოვიჩი, ვ. ფ. ბიკოვსკი, ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ვ. მ. კომაროვი, ბ. ბ. ეგოროვი, ვ. პეტროპავლოვი, პ. ი. ბელიაევი, ა. ა. ლეონოვი.

გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთან ს. პ. კოროლიოვთან გამოსათხოვებლად მოდენენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. კუბოსთან საპატიო ყარაულში დგანან ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. პოსლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დიმიტროვი, ნ. რ. შაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. სენდროპოვი, ი. ვ. კაბანოვი, თ. დ. ანდრეევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. ბელუდოვი.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. ს. პ. კოროლიოვის ცხედართან მიდიან ადამიანები და აჭლობლები.

გაისმის სამგლოვიარო მელოდიები.

ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა ურღვევია

ჰანოი. (საკდესი). ვიეტნამელმა ხალხმა. მოიწონა კომუნიკე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის დელეგაციის ვიზიტის გამო, რომელიც დღეს გამოქვეყნეს პარიზის გაზეთებმა.

„ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება“, „მივესალმებით ვიეტნამში საბჭოთა კავშირის დელეგაციის ვიზიტის შედეგებს!“ — ასეთი სათაურებით არის აკრეფილები დღეგანდელი ცენტრალური გაზეთები. პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ამ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დელეგაციების მოლაპარაკება გულთბილ და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

„ჩვენი ხალხი, — წერს მოწონიანი სტატიაში „გაზეთი „ნიან ზანი“, — მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს წარმომადგენლებს იმისათვის, რომ დიდი საბჭოთა კავშირის მეგობრობა და მხარდაჭერა ჩამოგვიტანეს. საბჭოთა დელეგაციის სტუმრობის დროს ჩვენმა ხალხმა გამოხატა გულწრფელი აღტაცება და სიყვარული გმირი საბჭოთა ხალხისადმი“.

230 მილიონიანი მეძმე საბჭოთა ხალხის უდიდესი დახმარება და მძლავრი მხარდაჭერა ჩვენს სამამულიერ ბრძოლაში ხელს უწყობს ჩვენი ხალხის საბრძოლო ძალიერების განმტკიცებას. ჩვენი ხალხი დღეს აძლიერებს ბრძოლას ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, სამშობლოს გადასარჩენად“, — წერს გაზეთი „თხუ დო პანო“.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის ვიზიტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ძმური ურთიერთობის ისტორიის ახალი მკაფიო ფურცელია. ასეთია ყველა ვიეტნამელის ერთსულოვანი აზრი.

სენატორები მოითხოვენ

ვაშინგტონი, 17 იანვარი. საკდისის კორესპონდენტი გ. ვაშდჩენკო იტყობინებენ:

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში დემოკრატმა სენატორებმა იახგმა და გრიუნინგმა მოუწოდეს ამერიკის მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედება ვიეტნამში და გამოიყვანოს იქიდან ამერიკის ჯარები.

სენატორმა იახგმა, რომელიც ამას წინათ იყო სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ შელახავენ თავიანთ პრესტიჟს, თუ „თავს დანებებენ ამ უბედურ ომს“. ვიეტნამს, თქვა მან, „არა აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა შეერთებული შტატებისათვის, და პრეზიდენტი ნებას არ უნდა აძლევდეს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და შტაბების უფროსთა კომიტეტს გავლენას ახდენდნენ ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე“.

იაგნის შეხედულებებს მხარი დაუჭირა სენატორმა გრიუნინგმა. მან განაცხადა, რომ ამერიკის ჯარების გაგზავნა ვიეტნამში „სტრატეგიული შეცდომა“ იყო. მე მგონია, თქვა გრიუნინგმა, რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ბოლო მოვუღოთ ამ ომს.

ასეთ შეხედულებებთან ერთად ამერიკის კონგრესში გაისმის აგრეთვე ომის მოტრფიალეთა აგრესიული მოწოდებანი. სამხრეთელმა სენატორმა სტენისმა მოითხოვა „აძლიერდეს შეიარაღებული აგრესია ვიეტნამში.

სტენისს მხარი დაუჭირა რესპუბლიკელთა ლიდერმა წარმომადგენელთა პალატაში ფორდმა.

ვესრულდეს ქენედის შეთანხმებანი!

ჰანოი, 17 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას, რომელშიც გადაჭრით აცხადებს პროტესტს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელი გენერლების ვიზიტებისა და ყოფნის წინააღმდეგ.

წერილში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადმოცა, აღნიშნულია, რომ მარტო 1966 წლის 1 იანვრიდან სამხრეთ ვიეტნამში ჩავიდნენ ისეთი მაღალი თანამდებობის პირნი, როგორებიც არიან ავიაციის მინისტრი ჰაროლდ ბრაუნი, სამხედრო მინისტრი სტენლი რ. რეზერი, ამერიკის სახელმწიფო კვლევითი ჯარის კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი უ. გრეი და სხვები.

კავშირის მისია აღნიშნავს, რომ ალეიკაში არმიის 25-ე დივიზიის მაბეელი მესამე ბრიგადის გადაყვანასთან, „ბ-52“ ტიპის, ბომბდამშენებისა და ფართო მასშტაბით მომწამლელ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებასთან ერთად ამერიკელი გენერლების ზემოხსენებული კვლევები ცხადყოფენ, რომ შეერთებული შტატები კვლავ ძალიერებენ და აფართოებენ აგრესიულ ომს სამხრეთ ვიეტნამში.

კავშირის მისია მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში, გაიყვანოს იქიდან ამერიკის მთელი ჯარები და სატელიტთა ჯარები. ზუსტად დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

კავკასიის კონფერენციის დამთავრება

ჰავანა, 16 იანვარი. (საკდესი). სამი კონტინენტის ხალხთა სოლიდარობისა და ერთობის დიდი ფორუმი დამთავრდა. 3-დან 12 [illegible] ჰავანა „ლიბერეში“ მუშაობდა აზიის, აფრიკისა და [illegible] 512 დელეგატი. კონფერენციას ესწრებოდა აგრეთვე 64 მეთვალყურე საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციებისაგან, ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან და აბეკი სტუმარი. დელეგატებმა განიხილეს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემები.

კონფერენციამ საბოლოო პლენარულ სხდომაზე შეაჯამა ამ დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობის შედეგები. მან მიიღო რამდენიმე ათეული რეზოლუცია დღის წესრიგის ყველა საკითხზე. მთავარ მთავარია გენერალური დეკლარაცია. დეკლარაციაში გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, ფასდასტურია იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზები. დეკლარაცია მოუწოდებს ხალხებს განამტკიცონ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ერთობა და სოლიდარობა.

კონფერენციის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება შექმნას აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია და ჩამოაყალიბოს მისი აღმასრულებელი სამდივნო, რომლის დროებითი ადგილსამყოფელი იქნება ჰავანა. სამდივნოში შედის თითოეული კონტინენტის თხუთმეტი წარმომადგენელი. სამდივნოს გენერალური მდივანი იქნება კუბის წარმომადგენელი.

შეიქმნა კომიტეტი, რომელიც ლაზმარებას გაუწევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და ბრძოლას ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. კომიტეტში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირი.

გადაწყდა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე კონფერენცია მოეწყოს კაირაში 1968 წელს.

კავკასიელნი დაბრუნდნენ საბჭოთა დელეგაცია

მოსკოვი, 17 იანვარი (საკდესი). დღეს ჰავანიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. რ. რაშიდოვი. დელეგაცია მონაწილეობდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველ კონფერენციაში და კუბის რევოლუციის VII წლისთავის ზეიმში.

შერმეტიევოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე კუბის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა სსრ კავშირში კუბის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმენებულის მანუელ გარსია ფუენტესის მეთაურობით.



იტალია — სილამაზითა და ისტორიული ძეგლებით განთქმული ქვეყანა მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავს ტურისტებს. აქ, ისე როგორც არსად, შერწყმულია თანამედროვეობა და წარსული.

მარცხენა სურათზე ნეაპოლის ხელოვნების ბაზაზე ვაგზლიდან გადალეტული მარცხნივ წინა პლანზე — მეიტლეები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ტურისტებს.

(ქვემოთ) ჩვეულებრივი სურათი პომპეის ნანგრევებზე. ამ ნანგრევებს ათასობით ტურისტი ათვალიერებს. ზოგი უურადღებით უსმენს გიდებს, სხვები ჩერდებიან იმ ადგილებთან, რომლებმაც მათი ყურადღება მიიპყრო.

და მხოლოდ მდიდარი ამერიკელი ტურისტები არ დალატობენ თავიანთ ჩვევებს. ამ ქალბატონს მიარნია, რომ ნანგრევების ქვეთოად დათვალიერება მეტისმეტად ძნელი საქმეა. ტატტრევანზე ჯდომა გაცილებით უფრო სასიამოვნოა. დარიბ იტალიელებს კი ასეთი სამუშაოც უხარიათ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მებრძოლი, ტრიბუნი, პატრიოტი

პატრის ლუმუმბას დაღუპვის 5 წლისთავი

იმი დაიბადა ტროპიკული აფრიკის ვარცლავებს ქვეშ, რათა, მათ მსგავსად, ეკაძაცის კამბოზაზე და უკანასკნელი აჯსებისას მეტრალიყო წყვდიადში. პატრის ემერი ლუმბას სახელი პოლიტიკურ ჰორიზონტზე მოჩნდა ყოფილი ბელგიის კონგოსათვის დაუკიდებლობის მიცემის ცოტა ხნით ადრე. ლუმუმბა დაიბადა კასაის პროვინციის სანრუს რაიონის პატარა სოფელში 1925 წლის ივლისს. აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ტუტელოს შედარებით მცირე ტომი — მისი ობლიური ხალხი. პატრის ლუმუმბა გლეხ ოჯახში ცხოვრობდა და აქ აფრიკული ფლის ტრადიციები შეითვისა. როგორც მისა თანამეშამულეები, — ისიც. სასურველ ბელგიელი ქვეშევრდომი იყო. სოფ ოდანენ ფარდულქვეშ მდგომი დოლის ოდებით პატარა პატრისი მირბოდა სათეგერებზე, სადაც ავაზის ლამაზი ტყეები ბოსელი ბელადი სამართალს ქმნიდა და ტარებლებს ანდაზებით წარმოთქვამდა:

— ცუდ ხეს სჭრიან და სწვავენ, ცუდ ადამიანს კი კარგ ამხანაგს შორის ასწორებენ. ადამიანთა გლეხური ფილოსოფიის ჭუმანიზმი. ბავშვში უკვე სახელგანქმულ ლუმუმბას ურად მოყავს ეს ანდაზა, შობილი აფრიკის ადი მდინარის სანგურუს ნაპირებზე.

ლუმუმბა წინ მიიწევდა დიდი თანამედროვე საწყაოსაკენ ისე, როგორც ცოდნის წყურ ოთ გატაცებული მოგზაური იკვლევს ს სავანეებსა და ჯუნგლებში, რომ სანუ ბარ მიზანს მიაღწიოს. მან დაამთავრა საოლო სკოლა, რაც ადვილი როდი იყო განა ების კათოლიკური სისტემის მქონე კოლონიურ ქვეყანაში. ბავშვის ცნობისმოყვარეობა ოვნარი არა ჰქონდა, ხოლო მისი შრომისყვარეობა აკვირვებდა თვით „მესიე აბეს“— ების კათოლიკე მღვდელს, რომელიც ფრანგ ენას ასწავლიდა. პატრისი ჯერ კიდევ ზარდი იყო, სრულყოფილად რომ დაეუფლა ადებულ ენას და საფრანგეთის პოეტების ძვინ დაიწყო ლექსების წერა ამ ენაზე. ალა ფიქრობდა, რომ ლუმუმბა გამოვიდოდა ლსაჩინო ლიტერატორი, აუცილებლად კი ბვენიტი, პოლიტიკოსი. სხვა ტომებიდან და ეროვნებებიდან გამოსული ამხანაგებიან ურთიერთობაში მან ვრცელი კონგოს ყველა ძი ოდი ენა შეისწავლა. როგორ გამოადა ეს ეფდეგმი! პრემიერ-მინისტრი რომ გასდა, ბრად მიმდიოდა კონგოში. სტენლივილში, ანგაცა და კივუში მიტინგებზე გამოსვლი ლუმუმბა ლაპარაკობდა კისვაჰილის ენაზე ასაიში — ჩიღუბას ენაზე, ეკვატორზე არე კოკიავილში — კიკონგოს ენაზე, ხოლ ლეოპოლდვილში — ლინგალას ენაზე. ლიტერატურითა და ენათმცოდნეობით ბრალებულ ბევრ ბატაცებული პატრისი სულ უფრ მეტად ებმებოდა თავისი სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სკოლის დამთავრების დეგ ლუმუმბამ შრომითი ცხოვრება დაიწყო ა სამუშაოდ ეწყობოდა კოლონიურ კომპანიაში.

ლუმუმბამ შეძლო გამოქვეყნებინა რამდენ ი სტატია აფრიკელთა მძიმე მდგომარეობ ის შესახებ. პატრიოტი სულ უფრო რწმუნდ ებოდა, რომ უცხოელი ექსპლოატატორები ან მწვავე სიძულვილის მთასანრეგიონად სა ბოლოო იყო გაზეთი, რომლითაც შეიძლებოდა ბელხისათვის სიმართლის თქმა, მისი ბრძოლ ის წარმართვა, მისი შეკავშირება. ლუმუმბა ბედის კიზანგანში, როგორც ქალაქ სტენლი ვილის თვითონ კონგოელები უწოდებენ. იგი ოტის მოსამსახურეა დაბა იანგამბში, შემ — მოღარე ერთი ბელგიელი მინისტრის ბენელ ქარხანაში. სტენლივილ-კიზანგანში ლუმუმბა აარსებს გაზეთ „უჰურუს“—„თავი ფლებას“ და ამავე დროს ხდება ყოველკვირ ული „ინდეპენდანსის“ დირექტორი.

ალსის ფართო ფენებთან ურთიერთობამ ბა ძლებლობა მისცა ლუმუმბას გამოეცნი ნენინა ყველაზე აქტიური მოღვაწენი ჯერ კიდევ დაქსაქსული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. საკითხი ის იყო, თუ როგორ ჩამოეყალიბებინა ორგანიზაციულად ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნა. 1959 წლის ოქტომბერში პატრის ლუმუმბა გამოვიდა მიტინგზე დეკლარაციით, რომელშიც გამოაცხადა, რომ შეიქმნა კონგოს ეროვნული მოძრაობის პარტია. ახალი პარტია იმავე ლოუნგენი „დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ!“

კოლონიურმა ხელისუფლებმა ლუმუმბა ორჯერ ჩააგდეს საპყრობილეში. როცა 1960 წლის იანვარში მოიწვიეს ეგრეთწოდებული მრგვალი მაგიდის კონფერენცია, რომ განეხილათ კოლონიური კონგოს შემდგომი ბედის საკითხი, პატრის ლუმუმბა და მისი თანამოაზ

ტრენი პატიმრობაში იმყოფებოდნენ. მაგრამ მისთვის ანგარიშის გაწევა საჭიროდ მიიჩნიეს ოფიციალურ ბრიუსელშიც: ყველას ესმოდა, რომ ლუმუმბას და მისი პარტიის უკითხავად შეუძლებელი იყო გადაეწყვიტათ რაიმე საკითხები, რაც კი კონგოს მდგომარეობას ეხებოდა. პატრიოტი გაათავისუფლეს და თვითმფრინავით ბელგიის დედაქალაქში ჩაიყვანეს. მნახველნი მოგვითხრობენ, რომ პატრისს ხელებზე კიდევ ემჩნეოდა ბორკილების ნაკვალევი...

ლუმუმბა კონგოს ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე გახდა. კონგოში იქმნებოდა და ირღვეოდა ბევრი პოლიტიკური დაჯგუფება, რომლებიც შექმნილი იყო ვიწროროგიონალურ, ტომობრივ ნიადაგზე. პატრიოტ კონგოს ეროვნული მოძრაობა საერთო-ეროვნული იყო. მისი განყოფილებანი ამ ქვეყნის უკლებლივ ყველა პროვინციასა და რაიონში მოქმედებდნენ. ამ პარტიაში, მძლავრი მდინარე კონგოს მსგავსად, შეიყარა ყველა შენაკადი — დიდი და მცირე ეროვნებანი. აღმოსავლეთ პროვინციაში შემდგარ არჩევნებში პატრის ლუმუმბას პარტიის მიერ წამოყენებულმა კანდიდატებმა ამომრჩეველთა ხმების 90 პროცენტი მიიღეს!

ხუთწელიწადნახევარი გავიდა იმ ღირსსახსოვარი დღეებიდან, როცა კონგოს სათავეში ჩაუდგნენ თვით კონგოელები. ჯერად მახსოვს ის დრო. ლეოპოლდვილში რომ ჩავფრინდი, ბუნებრივია, შესაძლებლობას ვიძებდი შევხვედროდი პატრის ლუმუმბას, მის კოლეგებს კაბინეტში. ყოველივე ეს ახლა ცოცხლად მიდგას თვალწინ. ლუმუმბა იღებდა დამოუკიდებლობის დღესასწაულზე ჩასულ საბჭოთა დელეგატებს, ჟურნალისტებს, ეწვევდა პრეს-კონფერენციებს. მე მომიხდა საკმაოდ დიდი დროის მანძილზე მედევნებინა თვალყური კონგოს პრემიერ-მინისტრის რთული და ძნელი მოღვაწეობისათვის.

ლუმუმბა მგზნებარედ, გატაცებით მუშაობდა. ძს მხრეზზე დაარეა მთელი კოლონიური ტვირთი მისი გადაუჭრელი, გადახლართული საკითხებით. იგი ქმნიდა ახალ სახელმწიფო აპარატს, დებდა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უცხოეთთან სახელმწიფოებთან, მუშაობდა არმიის, პრესის, რადიოს საკითხებზე. რიცა ლეოპოლდვილის მიდამოებში ბელგიელი პარაშუტისტები გადასხდნენ და კოლონიზატორებმა პირდაპირი რესპუბლიკაზე, ლუმუმბას დღედაღამ არ ეძინა. იგი დაკავშირებული იყო მთელ მსოფლიოსთან. და ეს გასაგებიც არის: კონგო მაშინ მსოფლიო მოვლენათა ფოკუსში იმყოფებოდა. ლუმუმბა მიდიოდა ხოლმე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეწვეოდა ხოლმე მეგობარ ქვეყნებს აფრიკაში, აწყობდა პარლამენტის საგანგებო სხდომებს. პოლიტიკა მისი მმობლიური სტიქია გახდა. მალალ-მაღალმა სათვალიანმა აფრიკელმა, რომელსაც ლამაზი მოკლე წვერი ჰქონდა, თავი გამოიჩინა როგორც დანელოვნებულმა დიპლომატმა ოფიციალური მოლაპარაკების დროს, როგორც შესანიშნავმა ტრიბუნმა მასობრივ მიტინგებსა და კრებებზე. მის სახელს შეწყობილად გაიძახოდნენ ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორიც არის „თავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“.

დანაშაულებრივი დარტყმა 1960 წლის 5 სექტემბერს მოახდინეს. მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯოზეფ კასავუბუმ პოსტიდან „გადაყარა“ პრემიერ-მინისტრი. კოლონიზატორებმა განიზრახეს კონგოელების ხელითვე ჯაეს წყრებინათ ანგარიში ლუმუმბასათვის. დაიწყო კამპანია, რომლის მიზანი იყო კონგოს ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის ფიზიკური მოსპობა. ეს კამპანია დამთავრდა ლუმუმბას ტრაგიკული დაღუპვით 1961 წლის 17 იანვარს. ჯერ კიდევ ვერავინ ბოლომდე ვერ გახსნა შეთქმულების გორგალი. ბევრი რამ რჩება გაურკვეველი. კასავუბუსა და მოიზ ჩომბეს მორის ოროანარძოლა, რომელშიც ისინი ერთმანეთს უყენებდნენ ბრალდებებს დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, აგრეთვე დაუმთავრებელია. ახლა ერთიც და მეორეც გარიყულია მოვლენათა ასპარეზიდან. ძალაუფლება კონგოს რესპუბლიკაში ხელთ აიღეს ახალმა ადამიანებმა.

ხუთი წლის წინათ წამებით მოკლეს ლუმუმბა. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე დილეგში იყოფმა, ტანსაცმელჩამოხეულმა, ფეხშიშველმა, ნაცემმა კონგოს გმირმა და წამებულმა ნაკუწ ქაღალდზე დაწერა ვაჟკაცური სიტყვები: „სისასტიკე, აბუზად აგდება და წამება ვერასოდეს ვერ მაიძულებდა შერბალება მეთოზოვ. იმიტომ რომ მირჩევნია მოვკვდე თავაწეული, ჩვენი ქვეყნის ბედისადმი ღრმა რწმენითა და ურყევი იმედით აღსავსე, ვიდრე დამორჩილებული და ჩემთვის წმიდათა-წმიდა პრინციპების უარმყოფელი ვცოცხლობდე: დადგება დღე, და ისტორია იტყვის თავის სიტყვას“.

საბოლოო სიტყვა, რომელიც პატრის ლუმუმბას სწყუროდა. ჯერ კიდევ არ წარმოთქმულა კონგოს რესპუბლიკაში, რომლის დედაქალაქია ლეოპოლდვილი. მაგრამ ლუმუმბას ნათელი სანე მომწოდებელია. მისი ხსოვნა იწვევს არა მარტო მწუხარებას მისი დაკარგვის გამო: იგი შეგნებას უღვიძებს, კონგოს უთავისუფლებს კონგოს უკეთესი მომავლის იმედს უნერგავს კოლონიური პროპაგანდით მოშხამულ ადამიანებს.

ნ. ხოხლოვი.

• • •

სურათზე: პატრის ლუმუმბა.

ჰავანის ლუმუმბას

დაე იზეიმოს ჩვენმა ხალხმა!

შენ, საყვარელო შავო ძმაო, დალვარე ცრემლი,
ათასწლობით რომ ბნელეთს იყავ, როგორც პირუტყვი,
ქვეყნად სამუმმა შენი ნეტი გაიცამტვერა.
შენ მუდამ იყავ დარბეული, ღონემიხდილი,
საუკუნეთა ძველმა სულმა შენ შეგასწავლა
ერთი ლოზუნგი: ან მონობა, ანდა სიკვდილი!...
შენ გამოუვალ ჯუნგლებს ხშირად თავს აფარებდი,
ბუმად ხვდებოდი ათასობით საშინელ სიკვდილს...
და დღე დაგიდგა. როცა თეთრი კაცი გეწვია,
კაცი — ეშმაკი და სიკვდილზე უბოროტესი,
ოქრო მიჭქონდა და გაძლევდა უბრალო რამეს.
შენს დებს და ცოლებს ნამუსს ხდიდა, შვილებს და ძმებს კი
განგებ ათრობდა და შენს ბავშვებს შორს იტაცებდა!
ამ დროს სოფლებში მოუსვენრად ჰქუხდა ტამტამი,
ყველას აცნობდა: უცხო გემი შორს გაემართა,
სადაც დოლარი არის ღმერთი, არის ხელმწიფე...
ეს ნაპირები მდინარეთა, რომელთაც მიაქვთ
მომავლისაკენ მიმდინარე სწრაფი ტალღები, —
დე შენი იყოს!
ამ დედამიწის უთვალავი, უხვი სიმდიდრეც —
დე შენი იყოს!
გავარვარებულ შუადღის მზემ დაე ამოსწვას
ის მწუხარება, რაც არასდროს არ გშორდებოდა...
დე ჩვენი ხალხი, ბედნიერი, თავისუფალი,
ამ ჩვენს კონგოში ზეიმობდეს, ცხოვრობდეს ლაღად. —
აქ, ჩვენს კონგოში,
დიდ აფრიკის
მშობლიურ გულში!

თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა.

ედგოვარეობა ნიგერიაში

პარიზი, (საკდესი). დაუდასტურებელი ცნობებით, ნიგერიაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ფრანს პრესის საგენტოს ლომელი (ტოგოს დედაქალაქი) კორესპონდენტის ცნობაში ნათქვამია, თითქოს დაეპატიმრებინოთ ნიგერიის პრემიერ-მინისტრი ბალეკა. ლაგოსიდან არ არის მიღებული ამის დამადასტურებელი რაიმე ცნობა.

ნიგერიაში, სადაც აფრიკის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი მოსახლეობაა (55 მილიონი), არმიის რიგებში 8 ათასამდე კაცია. არმიას მეთაურობს გენერალ-მაიორი აგიი ირონსი.

ლონდონი, (საკდესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ხელისუფლება დროებით გადასცენ არმიასა და პოლიციას, რომლებსაც სარდლობს გენერალ-მაიორი აგიი ირონსი. რეიტერის საგენტოს ლაგოსელი კორესპონდენტის ცნობით, ნიგერიის მთავრობის სხდომას თავმჯდომარეობდა ტრანსპორტის მინისტრი ზანა ბუკარ დიჭარამა იმის გამო, რომ სხდომას არ ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი აბუბაკარ ტაფავა ბალევი, რომელიც აჯანყებულებმა დააპატიმრეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ლაგოსიდან მოსული დაუდასტურებელი ცნობებით, ფედერალური მთავრობასადმი ლოიალურმა ჯარებმა დაიკავეს ნიგერიის ჩრდილოეთ ოლქის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი ქალაქი კანო. მაგრამ ჩრდილოეთ ოლქის დედაქალაქი კადუნა კვლავ აჯანყებულთა ხელშია.

ლომე, 17 იანვარი (საკდესი). წუხელ ნიგერიის არმიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა აგიი ირონსიმ ლაგოსის რადიოთი განაცხადა, რომ იგი „აღკურვილია ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურისა და ნიგერიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლის რწმუნებულებებით“.

ირონსიმ განაცხადა, რომ არმიის ამოცანაა „ნიგერიაში დაიცვას კანონიერება და წესრიგი“, ვიდრე ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად, არ აღდგება კონსტიტუციური ხელისუფლება.

ირონსიმ თქვა, რომ მის მთავრობას განზრახული აქვს „შეინარჩუნოს სხვა ქვეყნებთან არსებული ურთიერთობა და დაიცვას ყველა ვალდებულება, რომლებიც წინა მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებათაგან გამომდინარეობენ“.

ირონსისს განცხადების თანახმად, დროებით უქმდება პრეზიდენტის პოსტი (ახლა პრეზიდენტი აზიკივე სამკურნალოდ იმყოფება ინგლისში) და მოვალეობისაგან თავისუფლდებიან პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი.

ლონდონი, 17 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ნიგერიის პრეზიდენტმა აზიკივემ, რომელიც სამკურნალოდ იმყოფება ინგლისში და ლონდონის მახლობლად ცხოვრობს სასტუმროში, გუშინ განაცხადა ნიგერიაში დაბრუნდები, როგორც კი ამისათვის ყველაფერი მზად იქნებიო.

„ჩემი უპირველესი მიზანი იქნება მშვიდობა აღვადგინო ნიგერიაში და გარკვეულ ფრაქციებს მოვაგონო, რომ ძალის გამოყენება არ არის ნიგერიის წინაშე მდგომ პოლიტიკურ პრობლემათა გადაჭრის მეთოდი“, — თქვა პრეზიდენტმა.

სტიქიასთან ბრძოლა ბრაზილიაში

რიო-დე-ჟანეიროო. (საკდესი). მეზუთე დღეა მძვინვარებს ტროპიკული შტორმი. კოკისპირული წვიმასა და ქალაქის მთებიდან წამოსული ტალახს მოაქვს ნარევი და სიკვდილი.

სტიქიური უბედურების დღეებში რიო-დე-ჟანეიროში, ოფიციალური მონაცემებით, წყალდიდობისა და ზვავის შედეგად დაიღუპა ათასამდე კაცი, სამ ათასი დაჭრილია და 60.000 კაცი უსახლკაროდ დარჩა. მათ შორის არის „ფაველების“ ბევრი მცხოვრები, რომლებიც მდებარეობენ მთის ფერდობებზე წყლის სწრაფი ნაკადების გზაზე.

ერთ-ერთი მთიდან ჩამოინგრა წყლით გადარეცხილი უზარმაზარი გრანიტის ლოდი. მან დაანგრია ცენტრალური წყალსადენის მაგისტრალი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებდა რიო-დე-ჟანეიროს სამხრეთ რაიონის 200 ათასამდე მცხოვრებს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს

ტოკიო, 17 იანვარი. (საკდესი). დღის ბანიის დედაქალაქში ინიციალებით ხელი მოაწერეს იაპონიისა და სსრ კავშირის 1966-1970 წლებში საკონსულტაციისა და გადასახდელთა შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ინიციალებით ხელი მოაწერა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საბჭოთა-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ვ. ბ. სპანდარიანმა, იაპონიის მხრივ — იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების გამგემ იოსიხირო ნაკაიამამ.

შეთანხმებას ოფიციალურად ხელს მოაწერენ ამ თვეში მოსკოვში.

სამი ქვეყნის გადაწყვეტილება

დარ-ეს-სალამი, (საკდესი). ტანზანიის, კენიისა და უგანდის მთავრობებმა თავიანთი ქვეყნების ტერიტორიაზე ფრენა, აგრეთვე დაკრდომა აუკრძალეს სამხრეთ როდეზიაში მიმავალ თვითმფრინავებს.

ეს გადაწყვეტილება მიიღებულია იმ სპეციალური კონფერენციის რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც ქამპალაში მოეწყო ამ წლის იანვარში და. მიეძღვნა აღმოსავლეთ აფრიკის ტრანსპორტის საკითხებს.

მოიწონეს ქარტიის პროექტი

პარიზი, (საკდესი). დღეს მალგაშის რესპუბლიკის დედაქალაქში ხელი მოაწერეს აფრიკა-მალგაშის საერთო ორგანიზაციის ქარტიის პროექტს. ქარტიის პროექტს ხელი მოაწერეს ამ ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც ტანანარივეს კონფერენციაზე შეიკრიბნენ. რო

მაღალი ხელოვნება

მუსიკალური რადიონარკვევი „დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი“

სრულიად საკავშირო რადიოს პროგრამით ამ დღეებში გადაცემულ იქნა ლეონიდ ალექსანდროვის მუსიკალური ნარკვევი „დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი“. მიკროფონთან გამოვიდა ნარკვევის ავტორი, რომელმაც შრავალრიცხოვან რადიომსმენელებს ბევრი რამ საინტერესო უამბო ამ გამოჩენილი დირიჟორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ილაპარაკა იმაზე, რომ ოდისეიმ პატარაობაშიდან შეიყვარა მუსიკა და უკვე შვიდი წლისამ დაიწყო ვიოლინოს დაკვრა. შემდეგ — სწავლა თბილისის კონსერვატორიაში, პირველი სიმფონიური მინიატურები. მერე კი — მეცადინეობა ი. ა. ფალიაშვილთან. გადის დრო, და ოდისეი დიმიტრიადი ამთავრებს კონსერვატორიას და დირიჟორი ხდება.

მისი ინიციატივით აფხაზეთში იწყობა სიმფონიური ორკესტრი და ო. დიმიტრიადი მისი დირიჟორია (ავტორის ამ სიტყვების შემდეგ ეთერში ჟღერს „ქალთა ცეკვა“ ანდრია ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულიდან“). ო. დიმიტრიადი საბოლოოდ ხდება რეჟისორი. მაგრამ კიდევ სწავლა იყო საჭირო, და იგი წავიდა ლენინგრადში, სადაც მეცადინეობდა მაშინ უკვე ცნობილი მუსიკოსის ა. გაუკის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ხუთი წლის კურსი მან სამ წელიწადში გაიარა. შემდეგ იყო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი „პიკის ქალი“. იმ სამახსოვრო საღამოს სცენაზე იდგა ბევრი დიპლომანტი და მათ შორის იყო ოდისეი დიმიტრიადი.

1937 წელს დირიჟორმა ეკვანი მიქელაძემ დირიჟორი ო. დიმიტრიადი სამუშაოდ მიიწვია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მას დაავალეს ოპერების „კარმენის“, „ტოსკას“, „პიკის ქალის“, „ჩიო-ჩიო-სანის“ და ქართველ კომპოზიტორთა ოპერების დირიჟორობა. ეს იყო ნიჭიერი დირიჟორის ო. დიმიტრიადის ოსტატობის აყვავების დაწყების ხანა.

განვლო კიდევ რამდენიმე ხანმა, და მას დაავალეს შეექმნა თბილისში სიმფონიური ორკესტრი. უკვე მაშინ დირიჟორმა ო. დიმიტრიადიმ გამოიჩინა უზადო მეხსიერება, ოქვიათი ტემპერამენტი. იგი მუდამ უწევს დახმარებას ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორებს — ხელს ჰკიდებს იმის შესრულებას, რასაც ქმნიან კომპოზიტორები ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი, დ. თორაძე.

მუსიკალური ნარკვევის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცოტა თუა ისეთი დირიჟორი, რომელიც იმდენ ახალ ნაწარმოებს ასრულებდეს, რამდენსაც დიმიტრიადი. მისი ინტერპრეტაციის მეოხებით, ამ ნაწარმოებებს კიდევ უკეთესი ჟღერადობა ეძლევა. (ამის შემდეგ ეთერში გაისმა „ხალეური სცენები“ ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“, გადმოცემული იქნა ფრაგმენტი იმავე ავტორის სავიოლინო კონცერტის მე-2 ნაწილიდან).

იმ წლებში იწყება დირიჟორის საგასტროლო მოგზაურობაც. 1952 წლიდან ო. დიმიტრიადი კვლავ იწყებს მუშაობას თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში. მაგრამ ახლა უკვე როგორც თეატრის მთავარი დირიჟორი. თეატრის რეპერტუარში ჩნდება მისი ახალი ნამუშევრები „ბოგდან ბმელნიცკი“, „ავგენი ონეგინი“, „ორლეანული ქალწული“, „ჩრდილოეთის პატარძალი“, „მენდია“, „აბესალომ და ეთერი“, რომლებშიც დიმიტრიადიმ ბრწყინვალე დირიჟორული ტექნიკა გამოავლინა.

ნარკვევის ავტორი ლეონიდ ალექსანდროვი აღნიშნავს, რომ ოდისეი დიმიტრიადის დიდი შემსრულებლობითი ხელოვნება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. იგი გასტროლებზე ყოფილა მთელ რიგ ქვეყნებში — სამხრეთ ამერიკაში, ბულგარეთში, გერმანიაში, ბერლინში, დრეზდენში. იყო თავის წინაპართა სამშობლოშიც — საბერძნეთში, მაგრამ ამჯერად როგორც საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. შესანიშნავ დირიჟორად გამოიჩინა თავი საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულების დროსაც. ამ შემთხვევაშიც მას ახასიათებს სისადავე და ბაყფიობა მუსიკალური სახეების გადმოცემაში. ოდისეი დიმიტრიადის სახით მუდამ წარმოგვიდგება მამაცი მებრძოლი დირიჟორი.

გასულ წელს მის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. როგორც გამოჩენილი დირიჟორი იგი მიწვეულია სსრ კავშირის დიდ თეატრში. წარმატებით გრძელდება მისი საკონცერტო მოღვაწეობაც. და როგორც ამის ილუსტრაცია, გადმოცემულ იქნა ფირზე ჩაწერილი მუსიკა, რომელსაც ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მისი ხელმძღვანელობით. ეს იყო მოცარტის, ვაგნერის ნაწარმოებები.

რადიოგადაცემა „დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი“ დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა.

ს. რიჟინაშვილი.

ქ. მოსკოვი.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები

ღამის სანატორიუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ღამის სანატორიუმი მნიშვნელოვნად გაფართოვდა წელს. იგი ორჯერ უფრო მეტ ავტომშენებელს მოემსახურება, ვიდრე მარშალ.

ახლა აქ ერთდროულად 50 კაცი ისვენებს და მკურნალობს. სანატორიუმს აქვს კეთილმოწყობილი სამყურნალო კაბინეტები, ქვეს ბლოკი, 15 საძინებელი პალატა, ტალახის აბაზანებით სკამკურნალო.

კულინართა კონკურსი

ოცდაათმა კულინარმა, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის სასადილოებში და რესტორნებში მუშაობენ, ყაფე „მეტროში“ საკონკურსოდ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილი 150-ზე მეტი ახალი ნაწარმი, რომლებიც დამზადებულია კარტოფილისა და მოსტნეულისაგან.

კონკურსი მოაწყო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველომ. მასში მონაწილეობა მიიღეს რესტორნებისა და კაფეების ტრესტმა, მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების სასადილოების ტრესტებმა.

ამ კონკურსმა ბევრი მაინდა, ბევრი დაინტერესა იმ კულინარია საკმაოდ ბითა, რომლებიც გემრიელი და მსუყე კერძების შემზადების ოსტატები არიან.

კონკურსში ჯგუფ-ჯგუფად მოდიან თბილისელები, კერძოდ დიასახლისები, რომლებიც ეცნობიან კონკურსზე წარმოდგენილ სხვადასხვა ნაწარმს. კონკურსის მაგიდებთან ისმის ქმაყოფილ ადამიანთა ხმები: მშვენიერია, ძალიან კარგია!

სურათებზე: ზემოთ — მზარეული კოსტა გვიმრაძე ახალგაზრდა დიასახლისებს აცნობს თავის ნაწარმს. ქვემოთ — კონკურსის ერთ-ერთი მაგიდა.

ფოტო ს. ონანოვისა.

მუზეუმი—იუბილარი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს არსებობის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

მუზეუმის ისტორიაზე მოხსენებით გამოვიდა მუზეუმის დირექტორი გ. ჩერქეზია.

1918 წელს სოხუმის მასწავლებელთა, აგრონომთა და მეტყევეთა ინიციატივით სოხუმში დაარსდა მხარეთმცოდნეთა წრე. ერთი წლის შემდეგ მის წევრთა რიცხვი 113 კაცამდე გაიზარდა. ეს უკვე მთელი საზოგადოება იყო, რომელიც ეცნობოდა მხარის შესწავლის საკითხებს. 1915 წლის 13 ივნისს საზოგადოება ოფიციალურად გაფორმდა.

გახსნის მომენტში მუზეუმს 610 ექსპონატი ჰქონდა. პირველ ორ წელიწადში მუზეუმი დაათვალიერა 4.500 კაცმა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა უველა ძვირფასი ისტორიული ექსპონატის ნაციონალიზაცია და მათ თავი მოუყარეს მუზეუმებში.

აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით სოხუმში 1924 წელს გაიმართა შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა პირველი ყრილობა. 1928 წელს ახალგაზრდა საბჭოთა აფხაზეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შენობა, რომელშიც დღეს მუზეუმია მოთავსებული, გადაეცათ ექსპოზიციებისათვის და ამიერიდან ეღიარებინათ იგი სახელმწიფო დაწესებულებად — „აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმად“. ამ დროიდან აქ ფართოდ გაიშალა მუშაობა.

მუზეუმს აქვს ორი ფილიალი — სურათების გალერია, სადაც თავმოყრილია აფხაზეთის მხატვართა საუკეთესო ნაწარმოებები, და ახალი ათონის ფილიალი, სადაც წარმოდგენილია ივერიის მთის, სოფელ ბომბორისა და დასახლება კოსტრიკის რაიონებში გათხრების დროს ნაპოვნი ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები.

ამჟამად აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონატების რიცხვი 95 ათასამდე გაიზარდა.

მუზეუმსა და მის ფილიალებს ყოველწლიურად 200 ათასამდე კაცი ათვალიერებს.

ტიიუ სო